ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11925352001**

თარიღი:**18/12/2025**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა 2025 წლის 22 დეკემბერს, ქ.წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 10:30 სთ-ზე, შემდეგი დღის წესრიგით:

ა) დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ბ) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების დასკვნები დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ";

გ) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ასევე სოციალურ საკითხთა კომისიებისა და ფრაქციების დასკვნები დადგენილების პროექტზე "წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ";

დ) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და ფრაქციების დასკვნები დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ";

ე) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და ფრაქციების დასკვნები დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ";

ვ) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და ფრაქციების დასკვნები დადგენილების პროექტზე "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ";

ზ) წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების დასკვნები განკარგულების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ".

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი